

**ჭიათურის რაიონის სოფ.სკინდორის
საავტომობილო გზის რეაბილიტაცია
განმარტებითი ბარათი**

ზემოაღნიშნული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

საპროექტო სამუშაოების დაწყების წინ უსწრებდა შპს „სენსონის“ თანამშრომლების მიერ ვიზუალური დათვალიერება და ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება.

სარეაბილიტაციო გზა დაშორებულია ქ.ჭიათურიდან 12კმ-ის მანძილზე, სიგრძით 6011მ. ნიშნულები მერყეობს 565,261 მ-დან 669,330 მ-დე.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების ჩატარება.

- მექანიზმებით არსებული გრუნტის გზის მოსწორება;
- შემასწორებელი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დაფენა;
- 0÷40მმ, 8სმ სისქით ღორღის ფენის მოწყობა;
- ცხელი ბიტუმის დასხმა;
- 5სმ სისქის მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონის დასხმა;
- ცხელი ბიტუმის დასხმა;
- 4სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის დასხმა;
- გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით;
- სამკუთხა კვეთის სანიაღვრე კიუვეტის მოწყობა გზის ორივე მხარეს;
- სამკუთხა კვეთის გრუნტის სანიაღვრე კიუვეტის მოწყობა გზის ორივე მხარეს;
- ნიუჯერსის ტიპის შემომფარგლავი ბეტონის ელემენტების დაყენება;
- თვალამრიდი ბეტონის ბოძების დაყენება გზის ორივე მხარეს

აღნიშნული განმარტებითი ბარათი განხილულ უნდა იქნეს გრაფიკულ ნაწილთან ერთად.